

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი
აპლიკანტის გვარი, სახელი _____

საგანი: “სატრანსპორტო საგზაო ნაგებობების ექსპლუატაცია“
ბილეთი #

ტესტი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	
პასუხი																					

1. დეფექტური რელსის ყელზე დატანილი ირიბი ჯვრების რაოდენობაა:
 - ა) 1
 - ბ) 2
 - გ) 3
 - დ) 4

2. მიწის ვაკისის გვერდულის მინიმალური სიგანე ლიანდაგის ყოველი მხრიდან არ უნდა იყოს ნაკლები (მ):
 - ა) 0,3
 - ბ) 0,5
 - გ) 0,4
 - დ) 0,8

3. ქანობის მაქსიმალური სიდიდე სადგურებზე ტოლია:
 - ა) 4‰
 - ბ) 2,5‰
 - გ) 3,5‰
 - დ) 3‰

4. 6მ-დან 12მ-მდე სიმაღლის რკინიგზის ყრილის ფერდოს დახრილობა ჩვეულებრივ გრუნტებში ტოლია:
 - ა) 1:1,25
 - ბ) 1:1,75
 - გ) 1:1,5
 - დ) 1:2

5. ამჟამად მოქმედი პროექტირების ნორმებით მიწის ვაკისის ძირითადი მოედნის სიგანე ახალი I და II კატეგორიის ერთლიანდაგიანი რკინიგზებისათვის ტოლია (მ):
 - ა) 7,0

- ბ) 7,1
- გ) 7,6
- დ) 6,5

6. სახელმძღვანელო ქანობის მაქსიმალური სიდიდე I კატეგორიის რკინიგზებზე არ უნდა აღემატებოდეს;

- ა) 15 ‰
- ბ) 10 ‰
- გ) 18 ‰
- დ) 9‰

7. ლიანდაგში საპირაპირო ღრეჩოს (მმ) ნორმალური მაქსიმალური მნიშვნელობა არ უნდა აღემატებოდეს:

- ა) 20
- ბ) 22
- გ) 15
- დ) 26

8. P50 ტიპის ერთი გრძივი მეტრი რელსის დაახლოებითი წონაა (კგ):

- ა) 50
- ბ) 65
- გ) 60
- დ) 55

9. ქანის დამუშავების რომელი ხერხი გამოიყენება გვირაბმშენებლობაში

- ა) ბურღვა-აფეთქება;
- ბ) კომბაინი;
- გ) ორივე.

10. გვირაბის აგების ნორვეგიული ხერხის დამახასიათებელია:

- ა) ქანების კლასიფიკაციის გამოყენება;
- ბ) სამშენებლო მასალის კლასიფიკაციის გამოყენება;
- გ) განსაკუთრებული მექანიზაციის გამოყენება.

11. მაღალი წყლის საანგარიშო დონე ხიდისათვის განისაზღვრება განმეორადობისთვის

- ა) 10 წლიანი
- ბ) 50 წლიანი
- გ) 100 წლიანი
- დ) 300 წლიანი

12. რამდენი თაღოვანი სისტემის ხიდია მდ. მტკვარზე თბილისში

- ა) 4
- ბ) 5
- გ) 6
- დ) 7

13. ხიდის სავალი ნაწილის გაბარიტი დამოკიდებულია

- ა) მოძრაობის ინტენსივობაზე
- ბ) გზის კატეგორიაზე
- გ) ხიდის სიგანეზე
- დ) ხიდის სიგრძეზე

14. რა არის ქანის უკუბჯენა

- ა) მუდმივი სამგრის წინაღობა;
- ბ) გრუნტის რეაქციის სამაგრის დეფორმაციაზე;
- გ) სამაგრის რეაქცია ქანის გადაადგილებაზე

15. გზის ტრასა ეწოდება.

- ა) გზის გეომეტრიული ღერძის მდებარეობას სივრცეში
- ბ) გზის გეგმილს ჰორიზონტალურ სიბრტყეზე
- გ) გზის კვეთს მართობული სიბრტყით
- დ) გზის გეგმილს ვერტიკალურ სიბრტყეში

16. ასფალტბეტონის ფენილის ძერის დეფორმაციებისადმი მდგრადობა მცირდება:

- ა) მაღალ დადებით ტემპერატურაზე;
- ბ) დაბალ დადებით ტემპერატურაზე;
- გ) მაღალ უარყოფით ტემპერატურაზე;
- დ) დაბალ უარყოფით ტემპერატურაზე.

17. საგზაო სამოსის კონსტრუქციის ქვიშა-ხრეშოვანი და ღორღოვანი საფუძვლის მოწყობისას საჭიროა:

- ა) მასალას გააჩნდეს ოპტიმალური დატენიანების ხარისხი;
- ბ) მასალა იყოს მშრალ მდგომარეობაში;
- გ) მასალაში იყოს საჭირო რაოდენობით თიხოვანი ნაწილაკები;
- დ) მასალაში იყოს საჭირო რაოდენობით მტვროვანი ნაწილაკები

18. გარდამავალი მრუდი წარმოადგენს მრუდს, რომლის:

- ა) რადიუსსაც გააჩნია მუდმივი მნიშვნელობა
- ბ) რადიუსი აღემატება წრიული მრუდის რადიუსს
- გ) რომლის რადიუსი უსასრულოდ დიდია
- დ) რადიუსი იცვლება მისი სიგრძის პროპორციულად

19. საგზაო სამოსის დაზიანებას არ მიეკუთვნება:

- ა) გრძივი ბზარები;
- ბ) ტემპერატურული ნაკერები;
- გ) განივი ბზარები;
- დ) ბადისებრი ბზარები.

20. გრძივი პროფილი ეწოდება:

- ა) საავტომობილო გზის ტრასის ჰორიზონტალურ სიბრტყეზე პროექციის გრაფიკულ გამოსახულებას, შესრულებულს მასშტაბში
- ბ) საავტომობილო გზის ტრასის ვერტიკალურ სიბრტყეზე პროექციის გრაფიკულ გამოსახულებას, შესრულებულს მასშტაბში
- გ) საავტომობილო გზის ტრასის მართობული კვეთის გრაფიკულ გამოსახულებას, შესრულებულს მასშტაბში
- დ) საავტომობილო გზის ტრასის მდებარეობას სივრცეში